ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 181

"8" ივლისი 2016 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ილ. ვეკუას ქ. №84-ში, ო. ხიზანიშვილის ქ. №57-ში, საზოგადოებრივი ცენტრის ტერიტორიაზე V და VI მიკრორაიონებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" მე-40 მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2016 წლის 18 თებერვლის №8 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 24 ივნისის №04/11637 წერილის (AR1372572) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეთანხმებულ იქნეს ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ილ. ვეკუას ქ. №84-ში, ო. ხიზანიშვილის ქ. №57-ში, საზოგადოებრივი ცენტრის ტერიტორიაზე V და VI მიკრორაიონებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1372572 განაცხადის შესაბამისად (იხ. თანდართული უფლებრივი ზონირების რუკა).

2.აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი



შეთანხმებულია:
ქ. თბილისის მერიის სხვა „თბილისის არქიტექტურის სამსახურთან"

აღნიშვნები

1. საფეხმავლო ცენტრი (სუპერმარკეტი)
2. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ შენობა (საფეხმავლო, საცალო ვაჭრობა, საკონფერენციო-საბანკეტო)
3. ავტომობილების საფეხმავლო-საგასამართი შენობა (ავტოკუნძული)
4. ავზსასამართი ადგილი
5. ტრანსფორმატორი

პირობითი აღნიშვნები

- განაშენიანების შეზღუდვის ხაზი
- პარკინგი
- საავტომობილო ხაზები
- მიწის ნაკვეთის ხაზები
- სექტორის ხაზები
- განაშენიანების
- ინფორმაციის ხაზი
- სერვიტუტი
- ადმინისტ. კედელი

1	1	2
	3	4
	5	6
	7	

1 სექტორის ნომერი
1. ზონის სახელი
2. საორიენტაციო ან სიმაღლე
3. განაშენიანების კოეფიციენტი კ-1
4. განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ-2
5. გამწვანების კოეფიციენტი კ-3
6. განაშენიანების ტიპი (ღია, დახურული)
7. ნაკვეთის ფართი

1505.0 მ² ნაკვეთის ფართი
789.0 მ² განაშენიანების ფართი
3944.0 მ² ინტენსივობის საანგარიშო ფართი

ეზოები I-I



ბაბარიკაძის ბულვარი

PROJECT	
ADDRESS	